აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლების მშობლობის ფენომენოლოგია და გენდერული განსხვავებები საქართველოში

ქეთევან კერესელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

1.2 განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

აღნიშნული ნაშრომი შეიცავს ჩემს მიერ აკადემიური წერის ფარგლებში შესრულებულ დავალებებში: "აუტისტური სპექტრის ბავშვების მშობლების მშობლობის ფენომენოლოგია და გენდერული განსხვავებები საქართველოში" აღებულ მონაკვეთებს, გადამუშავებული თუ ციტირებული სახით.

ქეთევან კერესელიძე

29.06.2021

1.3 აბსტრაქტი

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში, მოიმატა აუტისტური სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვების რაოდენობამ. შესაბამისად, გაზრდილია ოჯახების რიცხვი, რომლებსაც ჰყავთ შვილი ასას დიაგნოზით. საქართველოში პირველად ჩატარდა კვლევა, რომელიც შეისწავლის ასას დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლების ფენომენოლოგიას. კვლევის მიზანია, აუტისტური სპექტრის ბავშვების მშობლებთან მშობლობასთან დაკავშირებული ფენომენების კვლევა, თუ რა განცდებთანაა დაკავშირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მშობლობა დედისთვის და მამისთვის, ბავშვის მხრიდან კომუნიკაციის დეფიციტის დროს.

თვისებრივი ფენომენოლოგიური კვლევა განხორციელდა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის „მწვანე სახლის“ ბენეფიციარების მშობლებთან. კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ 10 წყვილთან, რომლებსაც ჰყავდათ შვილი ასას დიაგნოზით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დედებისთვის, ასას დიაგნოზის მქონე ბავშვის მშობლობა დაკავშირებულია განსაკუთრებულ ზრუნვასთან ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე; ბავშვის მომავალთან დაკავშირებულ შიშთან - როგორ შეძლებს მათი შვილი ზრდასთან ერთად დამოუკიდებლად ფუნქციონირებას და როგორ წარიმართება მისი ცხოვრება მშობლის გარეშე; დედობა, როგორც შიშის განცდა, რომ ბავშვს ფსიქოლოგიური ზიანი არ მიაყენო არასწორი სიტყვით ან ქმედებით; დედობა, როგორც საზოგადოებისგან მინიჭებული გმირის როლი. მამებისთვის ასას დიაგნოზის მქონე შვილის მამობა როგორც დედებთან ასოცირდებოდა მომავლის შიშთან, როგორი იქნებოდა მათი შვილების ცხოვრება მშობლების სიკვდილის შემდეგ; მამობა როგორც ავარიული ავტოპილოტის განცდა, რომ მუდმივად უნდა

იყო მორგებული შვილის საჭიროებებს. მამებისთვის ასას დიაგნოზის შვილის მამობა, როგორც დედებისთვის ასოცირდებოდა დიდ პასუხისმგებლობასა და მზრუნველობასთან. როგორც დედებში, ასევე მამებში ასას დიაგნოზის მქონე ბავშვის მშობლობა იწვევდა საკუთარი თავის სიბრალულის განცდას, რატომ დაემართათ მათ ეს და ამასთანავე, თავიანთი საჭიროების და მშობლის პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ შეგრძნებას.

მნიშვნელოვანია, ჩატარდეს ფართომასშტაბიანი ფენომენოლოგიური კვლევა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებთან, მშობლობასთან დაკავშირებულ ემოციურ გამოცდილებებზე. შეიქმნას მხარდამჭერი სერვისები, რომლებიც ფსიქოლოგიურ დახმარებას გაუწევენ ასას დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტისტური სპექტრის აშლილობა, ასას დიაგნოზის დროს დედობის იდენტობის განცდა, ასას დიაგნოზის დროს მამობის იდენტობის განცდა.

1.3 Abstract

The number of children with Autism Spectrum Disorder (ASD) has increased in Georgia in recent years. Consequently, the number of families, who have a child diagnosed with ASD has increased. For the first time in Georgia, a study was conducted to study the phenomenology of parents of children diagnosed with ASD.

The aim of the study is to investigate the phenomena related to parenting of children with ASD, what are the feelings associated with parenting for a mother and father during a lack of communication from child with ASD.

Qualitative phenomenological study was conducted with the parent of the patient of the Psychological Service Center "Green House." The study was carried out in –depth interviews with 10 couples who had a child diagnosed with ASD.

The study found that for mothers, parenting of a child diagnosed with ASD is associated with special care and responsibilities based on the child's needs; Motherhood as a fear of the child's future – how their child will be able to function independently when he or she grows up and how his or her life will go after the parents' death; Motherhood as a feeling of fear, that the child will not be psychologically harmed by the wrong word or action; Motherhood as a role assigned by the society – a hero. For fathers, the paternity of a child with ASD, as for mothers was associated with fear ot the future, how their child will be able to function after death of their parents. Fatherhood like "Switch ON Autopilot," a feeling that he must constantly adapt to the needs of the child. For fathers as for mothers, the paternity of a child with ASD, was associated with great responsibility and care. In both mothers and fathers, this role of parenting of child with ASD gave a sense of self-pity, why this happened to them, and at the same time, they feel special sense of their importance in their children's life and parental responsibility.

It is important to conduct a large-scale phenomenological study of the emotional experiences associated with parenting of children with ASD. It is important to set up support services that will provide psychological support to parents of children diagnosed with ASD.

Key words: Autistic Spectrum Disorder, The feeling of motherhood of a child with ASD, the feeling of fatherhood of a child with ASD.

1.4 მადლობა

გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, დროული და გულისხმიერი უკუკავშირისა და რეკომენდაციებისთვის, დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს.

მინდა მადლობა გადავუხადო ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრ „მწვანე სახლს“ კვლევის ჩატარებისთვის საჭირო სივრცის გამოყოფისა და მხარდაჭერისთვის.

განსაკუთრებული მადლობა მწვანე სახლის ბენეფიციარების მშობლებს კვლევაში მონაწილეობისთვის და გულწრფელობისთვის, რის გარეშეც აღნიშნული კვლევა ვერ ჩატარდებოდა.